საშუაბათი 1919 წ. თიბათვის 3 № 112
ცალიწადი მახუთი

საშუაბათი 1919 წ. თიბათვის 3 № 112
ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს —120 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 40 მანეთი. ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე—1 მ. 50 კ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხაზგუსვიანი განცხადება თითოჯერ 50 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ყურადღება!..

ყურადღება!

მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის

## კონიაკი
## დაწმენდილი არაყი და კახური ღვინო

ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით“ და „ბოჭკობით“ ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი: ვაგზლის ქ. 6. ტელეფ. 1—97.

(25—86—5)

ყურადღება!

ქართული სამუსიკო და საქველ-მოქმედო საზოგადოებანი

## კონსერვატორიაში

შაბათს, 7 ივნისს გაიმართება

## სასულიერო კონცერტი — ახალი ლიტურღია

მუსიკა დ. არაყიშვილისა

(2—92—1)

ღრმად დამწუხრებული მარიამ ივანეს ასული ფანცულაია შვილებითურთ, აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფას დისწულის

### ნინოჩკა თოფურიას

პანაშვიდი ყოველ დღე, სად. 7 ს., გარდაცვალებულის ბინაზე, (ელისაბედის ქ. 92), დაკრძალვა 4 ივნისს დილის 10 საათზე.

(2—2414—1)

უზომოთ დამწუხრებულნი პეტრე ივანის ძე და ვალენტინა ფილიმონის ასული თოფურიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ 1 ივნისს, უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი ქალიშვილი პეტრაშევსკის სასწავლებლის მოწაფე

### ნინოჩკა

პანაშვიდი სალამ. 7 ს. საკუთარ ბინაზე (ელისაბედის ქ. 92). გამოსვენება 4 ივნისს, დილის 10 ს., დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

(2—2414—1)

კნეინა ბარბარე დიმიტრის ასული ამირეჯიბი, თ-დი როსტომ, დიმიტრი ვასილის ძენი, თამარა ვასილის ასული ამირეჯიბები, კნ. ნინა ვასილის ასული ჯორჯაძე, კნ. იულია ვასილის ასული ჯანდიერი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ორმოცი დღის გარდაცვალების დღეს მათ ძვირფასი პირველის ქმრის, დანარჩენების მამის

### თ-დ ვასილ ალექსანდრეს ძე ამირეჯიბის

დღეს, 3 ივნისს, იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვის დასაწყისი 10-ნახევარ საათზე.

(1—2415—1)

### ვისაც მოეპოვება

ძველი (მე-16, 17, 18 საუკუნის) ქართული, სომხური, ბერძნული, სპარსული, ოსმალური და ან კავკასიის სხვა ეროვნებათა ტანისამოსი, ქსოვილები, იარაღი ან საგნები. ამას გარდა სურათები, სურათებიანი გამოცემები, გადმოცემათა კრებული და სხვა, და ვისაც შეუძლია ყველა ასეთი საგნები გაჰყიდოს ან დროებით გაანათხოვროს, ვსთხოვ მობრძანდეს ორშაბათობით და ოთხშაბათობით 10 საათიდან 12 საათამდე აქ. საზოგადოების „ფილმა“-ს დირექტორ მარსკისთან, კინემატოგრაფი „აპოლო“ (მიხეილისა და პიროგოვის ქ. კუთხე).

1—2413—1

## მეორე ქართული კლუბი

მიხეილი პრ. № 131 (ყოფილი ხარფუხის)

პირველი ქართული მომგებიანი ლატარიის გამგეობის თაოსნობით. სამშაბათს, ოთხშაბათს ხუთშაბათს და პარასკევს ივნისის 3, 4, 5 და 6-ს ნაჩვენები იქნება პირველი ქართული კინემატოგრაფიული არშიები ფარდაზე.

I. გვარდიის დღე საქართველოს დედა ქალაქში.
II. დამფუძნებელი კრების გახსნის დღესასწაული.
III. ქრისტინე

კინო დრამა 4 ნაწილად გადმოკეთებული ე. ნინოშვილის მოთხრობიდან. სცენარიუმი ალ. წუწუნავა
გამომცემი გ. ვოგატიძე

საზოგადოების საყურადღებოდ: შესასვლელ ბილეთთან ერთად სურათების ნახვის მსურველნი მოვალენი არიან შეიძინონ პირველი ქართული მომგებიანი ლატარიის ხუთ მანეთიანი კუპონი.

(3—94—1)

თეატრი კაბარე და ბალი-რესტორანი

## „თეთრი შროშანა“
(Бѣлая Лилія)

ქსენიას ქუჩა № 5.

### ყოველ დღე კაბარე
### საუკეთესო არტისტების მონაწილეობით:

ოპერის მსახიობი ვ ვრონსკი, ოპერის მსახიობი დემიანენკო, მეცო-სოპრანო კალიშა, შვარცი, საოპერო თეატრის ბალერინა ლანტრევიჩი, მოცეკვავე ქალი ლეტინსკაია, ქართული მოცეკვავე ჯიგიტი, დეკლამატორი და მიამბე ოოტოვი, ამერიკელი მოცეკვავე სკორინი, ბალალაიკის დამკვრელი ვირტოუზი ფოლცი და სხვანი.

### ყოველ დღე სადილი და ვახშამი

უკრავს სიმებიანი ორკესტრი მეჭიანურე ჩერნიავსკის მეთაურობით.

ორი თავი სადილი 15 მან. სამი თავი—25 მან.

სადილი 2 საათიდან 5 საათამდე და ვახშამი 8-დან—ბალის დაკეტვამდე.

1—2412—1

### თბილისის ქალაქის თვითმართველობა

აცხადებს, რომ პარასკევს ივნისის 6 ს გამგეობის თანადასწრებით მოხდება

### საჯარო ვაჭრობა

საიჯაროდ გასაცემ სადუქნე ადგილისა (ზომით 36, 98 კვ, საჟ.) კიროჩნი ქ. თბილისის საკრებულოს ახლოს.

2—95—1

### საჯარო ვაჭრობა

თბილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს რომ პარასკევს, ივნისის 6-ს გამგეობის თანადასწრებით მოხდება ხაჯაროდ გაცემა საიჯარო მიწისა (ზომით 3,22 კვ. საჟენი) მასზე პატარა დუქნის ასაშენებლად. მიწა მდებარეობს ვერის პარკთან მტკვრის მარჯვენა ნაპირას. კონდიცები და ცნობები მიიღება თვითმართველობის მე4 განყოფილების (საიჯარო განყოფილება) კანცელარიაში სამუშაო საათებში.

2—95—1

### თბილისის ქალაქის თვითმართველობა

აცხადებს, რომ შაბათს ივნისის 7-ს გამგეობის თანადასწრებით მოხდება

### იჯარით გაცემა

კრამიტით დახურულ ქვიტკირის გარაჟის (ზომით 6.82 კვ. საჟ.) რომელიც გუდოვიჩის ქუჩაზე არის აშენებული. ყოველგვარო ცნობები მიიღება კანცელარიის მე-4 განყოფილებაში სამიწადმოქმედო მაგიდასთან.

2—95—1

## ქალთა შემოკრებისათვის

სამშობლოს იდეის გამარჯვების დღე იყო პირველი ივლისი თეთრ დარბაზში. დამფუძნებელი კრება ამ სხდომაზე მიუახლოვდა დაკარგულ ღვთაებას, რომლის ძალის და სიწმიდის გადმოსვლა ყველამ იგრძნო. საქართველოს ბედის გამოხსნა კი უფრო მეტს მოითხოვს: რომ დამფუძნებელმა კრებამ გულში მარტო ეს ღვთაება ჩაიშენოს და მას ერთს ეთაყვანოს. ერი და მთავრობა მისით აღძრული, მისთვისვე უნდა გაიწიროს.

ბედნიერი დღე დაგვიდგა. საუკუნეზე მეტია, ქართველობა არ დაძრულა, რომ ეროვნული უკვდავების სახელისთვის ყველაფერი გაეწირა, ყველაფერი, რაც დროულია და წარმავალი: სიცოცხლე და ქონება. დღეს საქართველო თვის წმიდა ტრადიციას უბრუნდება, თავის სახეს პოულობს და წარსულს უკავშირდება. ერთი საუკუნის მონობის გასავალზე ბევრი რამ გამოვსცადეთ, ბევრი რამ გამოვიარეთ. გიჟურის სიკერპით ვჯიუტობდით, ჩვენთა მიცვალებულთა ძალას გავქცეოდით, კავშირი ყოველგვარი დავვეწყვიტა, სისხლი ძარღვებში გამოგვეცვალა. გვსჯიდა ცხოვრება ამ ახალგაზრდულ ზვიადობისათვის.—სამშობლოს ბევრი დავაკარგვინეთ. .

მაინც ვერ წავრხოცეთ სამი-ათასი წლის ნაცხოვრი ძალა ჩვენის წინაპრების; ტაბულა რაზად ვერ ვაქციეთ მილიარდი ქართველის სულისკვეთება, მისწრაფება და ცხოვრების კვალი. წარსულის ძალამ გვაჯობა და თავის-

# უკანასკნელი ცნობები

ქართველი ჯარის ნაწილები ბაქოში გაიგზავნა.

ჩრდილო კავკასიისა და აზერბაიჯანის დელეგატებმა ხუთშაბათს ვილსონი ინახულეს და თავისი მოთხოვნილებები გააცნეს.

ბოლშევიკებმა მოკავშირეებს რადომისლი დაატოვებინეს, მათი ცნობით ფრანგი ჯარის კაცები ბოლშევიკებისკენ გადადიან.

ახლო მომავალში გამოცხადდება ქართველთა საერთო მობილიზაცია.

უმაღლესი ეკონომიური საბჭო მოკავშირეთა აცხადებს, რომ რაიმე ცვლილებისთანავე მეტის სიმკაცრით განაახლებს გერმანიის გარემოცვის საქმეს.

მოკავშირენი გერმანიაში შეზიდულ საქონლის საფასურად მხოლოდ ოქროს იღებენ.

---

თან მიგვიყვანა; ვიგრძენით, რომ ცოცხალი თაობის დანიშნულება და მაღალი მოვალეობაა დაცვა წინაპართა ნაანდერძევი უკვდავებისა და ამ უკვდავების გადაცემა მომავლის ხელში. ამ უკვდავებას, რომელიც დამოუკიდებლობის გარეშე არსად არ შექმნილა და არც შენახულა, მახვილი მოუღერა ძველი ბატონის აშვებულმა მხეცმა. დენიკინი ლამობს საქართველოს გასრესას.

საქართველომ თავისი პასუხი თეთრს დარბაზში გამოიტანა, პირველ ივლისს. გადაწყვეტილია უმალ სიკვდილი, ვიდრე ცოცხლად თავის დანებება. უხმაუროდ, უმეტსიტყვოთ ამის აღსრულებაში მოსაყვანად მუშაობს დღეს მთელი ქვეყანა. ყოველი ცოცხალი და სულდგმული ძალა უნდა იქმნას გამოყენებული. საჭიროა დიდი ტაქტი და ალღო, საჭიროა გონების განათება და გრძნობის ამაღლება. ნამეტურ და უმთავრესად ამას საჭიროებს ჩვენი მთავრობა. წინ და წინ ხელნსკრავი, გაძევებული და უმადურად მოხსენებული მისგან არ უნდა იქნეს არამც თუ რომელიმე წოდება, კლასი, ან ჯგუფი, არამედ არც ერთი ქართველიც. კლასიურ ტრფიალს და სიძულვილს გასაქანი უნდა შეუბორკოთ თუ ქვეყნის დაღუპვა არ გინდათ.

სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება კულტია ქართველისა, მის არსებაში ჩაბუნებული ძალაა. მთავრობის მთელი ნიჭი, ხელოვნება და მეცნიერება უნდა მოხმარდეს ამ ძალის აღძვრას, მის გაშლას და ჯადოსნურ ამოქმედებას. ეს კი არ შეიძლება იმ მეთოდით და იმ სიტყვებით, რომელსაც აქამდის ჩვეულ არს საქართველოს მთავრობა.

მისთვისა და მის პარტიის უმრავლესობისათვის შეიძლება თავის მოულოდნელობით უსიამოვნო აღმოჩენა ყოფილიყო ვ. ჯუღელის დამოწმება, რომ თავად აზნაურ ოფიცრობას, რომელსაც ყველაფერი ძალით წაართვეს, სამშობლოს სიყვარული არ დაუკარგავს და რომ მის დიდება-უკვდავებისთვის იგი თავდადებულად იბრძვის. ეს ჩვენთვის გასაკვირი არაა. იმ საქართველოს, რომელსაც დღეს მეტის რიცხვობრივის პროპორციით პოლიტიკურ ასპარეზზე ახლად გამოსული ქართველი ხალხი და დემოკრატია იცავს, აქამდის მოუძღოდა და იცავდა თავადაზნაურობა. რომ იგი ღირსეული არ ყოფილიყო თვის ბატონობის დროსა და პირობებში, საქართველო დღემდე ვერ მოაღწევდა და დასაცავიც არა გვექნებოდა-რა. და ამ თავად-აზნაურობის ჩამომავალი დღეს რომ სამშობლოს სიცოცხლეს სწირავს აღფრთოვანებით იგი თავის ბუნების ბრძანებას და მოთხოვნილებას ასრულებს მხოლოდ. ადამიანს თუ წოდებას ქვა და გუნდა არ უნდა მიაყარო და გახელებული ძაღლივით წინ არ უნდა გაიგდო ჩასაქოლავად, თუ არ გვინდა სამშობლოს მეტი მოსიყვარულე და დამცველი მოვაკლოთ. ამ მხრივ დღემდე ჩადენილი შეცდომები უნდა გამოვასწოროთ. ამგვარსავე ყოფაშია სამღვდელოებაც და ეხლა რომ იჩქება ის ბურჟუაზიაც. ათასი ხუთასი წელიწადი ეკლესიების სამრეკლოებს და სამღვდელოებას სამშობლოს წმიდა გრძნობები უფანტავს და უმტკიცებია და ქრისტიანული კულტურა ქართველ ადამიანში უშენებია. ამ განსაცდელის ჟამს ზარის ხმაც გვჭირია ჩვენში ჩამარხულ ძალთა გასაღვიძებლად და სამღვდელოების ლოცვა-კურთხევაც, ვინაიდან ქართველი ხალხის სიმრავლეს იგი ჯერ კიდევ სწამს და მით უკავშირდება ყოველივე წმიდას და მაღალს.

ჩვენი ბურჟუაზია, რომელმაც ეკონომიურ აღორძინების და მის კულტურულ წარმატებისთვის თვისი დიდი ისტორიული მისია უნდა აღასრულოს, თვის გამოსვლის განთიადზე არ დაზოგავს ძალას ენერგიას და ქონებას სამშობლოს გამარჯვებისა და მის დიდებისათვის.

ყველა ამ ძალას ერთნაირი მოვლა, და გნურჩეველი გულისყური უნდა ეთავაზოს. ყველა ერთ კანონს ემორჩილება და სიცოცხლის მსხვერპლი ყველას ერთნაირად გამოქავს. ხოლო რომ კანონის ფარგლებს გადასცდეს და ზედმეტად იფეთქოს ერში ქონებისა და სიცოცხლის განწირვის პათოსმა, საჭიროა მთავრობამ დაუტევოს ძველი გზა კლასობრივ-წოდებრივ მტრობა სიძულვილისა, თვით ამაღლდეს და სხვებიც აამაღლოს სამშობლოს მოვალეობის მაღალ შეგნებამდე.

ერის ყველა ცოცხალი ძალის შემოკრება და მთელი მისი ენერგიის კოორდინაცია მხოლოდ სამშობლოსათვის,—ამას უნდა მიაღწიოს საქართველოს მთავრობამ. ამ მიღწევაშია ჩამარხული წინდი საქართველოს გამარჯვებისა.

## დამფუძნებელი კრება

კვირას ივნისის 1 შესდგა საქართველოს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა. რომელმაც მოისმინა მოხსენება მთავრობისა დენიკინის საქართველოზე გამოლაშქრებით შექმნილ მდგომარეობის შესახებ.

მთავრობის მხრით მოხსენება გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა.

**საგარეო საქმეთა მინისტრის გეგეჭკორის სიტყვა.** მოქალაქენო, დენიკინის შავი ლაშქარი ჩვენ ქვეყანას ემუქრება და მე მთავრობის დავალებით მინდა გაგაცნოთ თქვენ ფაქტიური მდგომარეობა ჩვენი რესპუბლიკისა. თქვენ იცით, რომ მოხალისეთა ჯარმა დაიკავა პეტროვსკი და დერბენტი. მთიელთა მთავრობამ და პარლამენტმა იარაღი დაჰყარა და ამნაირად თითქოს დღეს დღეობით დენიკინი მფარველია მთიელთა რესპუბლიკისა. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ მართლაც იქ მოხდა გამარჯვება დენიკინის ძალებისა. ის, რასაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ დღეებში მთაში ეს იყო შედეგი ღალატისა. გენ. ხალილოვმა გასცა თავის ქვეყანა და ზურგში თავის ხალხს ლახვარი ჩასცა. ის მთავრობა რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა ბედ იღბალი მთისა მოღალატე გამოდგა. ჩვენ გვაქვს სრული რწმენა, რომ თავისუფლების მოტრფიალე მთა კიდევ შესძლებს თავისი ძალები შეკრიბოს და შესაფერი პასუხი გასცეს გენერალ დენიკინს (ტაში). დენიკინის შავი ლაშქარი ადერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვარს კიდეც მიადგა. როგორი მდგომარეობაა სოჭის ოლქში, იქ აშკარად სჩანს, რომ დენიკინის რაზმი მოქმედებას იწყობს და შესაძლებელია, რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ შევხვდეთ იარაღით (კედია: ვინ ავანგარდობს)? იმავე დროს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას აქვს უტყუარი ცნობები, რომ მზადდება ჩვენს წინააღმდეგ კიდევ ახალი ფრონტი. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ბათუმში აპირებენ გენერალ-გუბერნატორად რომანოვსკის დანიშვნას და მას განკარგულებაში ექნება მცირე რაზმი მოხალისეთა ჯარისა. ასეთია მოქალაქენო, საერთო სურათი. აქედან აშკარათ დაინახავთ, რომ დენიკინი და რუსეთის რეაქცია ამიერ-კავკასიას და ჩვენ რესპუბლიკას რგოლივით გარს ერტყმის და მას დედამიწის ზურგიდან ალაგმვას უქადის. მაგრამ, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ არავითარ შიშს ჩვენ შორის ადგილი არ უნდა ჰქონდეს. სულმოკლეობას გამოიჩენს ის, ვინც ამ საპასუხისმგებლო მომენტის დროს მისცემს თავის-თავს ნებას რომ პანიკა ან სხვა რამე ასეთი ჩვენ შორის გაავრცელოს, რადგანაც საქმის მდგომარეობა, ძალთა განწყობილება არავის არ აძლევს უფლებას სთქვას, რომ თუ ეს შეტაკება მოხდა, გამარჯვება ჩვენ არ დაგვრჩეს. ჩვენ გვაქვს სრული იმედი ვთქვათ, რომ ამ შეტაკებიდან ქართველი ხალხი, ჩვენი დემოკრატია, ჩვენი რესპუბლიკა გამარჯვებული გამოვა, (ტაში). თქვენ მოქალაქენო თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ჩვენ თავს არავის არ ვესხმოდით, ჩვენი პოლიტიკა, მისი შინაარსი განიზომებოდა იმით, რომ ჩვენი ხალხი, ჩვენი ოჯახი, ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ერი ყოველნაირ თავდასხმისაგან, ყოველნაირ ხიფათისაგან გადაგვერჩინა. მაგრამ თუ ვინმე მოინდომებს ჩვენ უფლების გადალახვას, ჩვენი ხალხის და ერის მოსპობას, უნდა იცოდეს მან, რომ ჩვენში შეხვდება სასტიკ წინააღმდეგობას, ჩვენი ისტორიული ტრადიცია, ჩვენი დემოკრატიის განვლილი გზა გვაძლევს ჩვენ უფლებას თამამად ვთქვათ რომ ხალილოვის შავ ღალატს და ხალილოვის მოქმედებას აქ ადგილი არ ექნება (ტაში), ჩვენ რუსეთის საქმეებში არ ვერევდით და ეს სადავო საკითხი, რომელიც ჩვენშორის იყო, მორიგებით დაგვეთავებინა. თქვენ იცით თუ რა ნიადაგზე ვაპირებდით ჩვენ მორიგებას: ჩვენ დავიჭირეთ ისტორიული ჩვენი საზღვრები და წინ წასვლას არ ვაპირებდით, არავის თავს არ ვესხმოდით, მაგრამ, 23 მაისის დენიკინის წარმომადგენლთან მოლაპარაკებამ აშკარად დაგვიმტკიცა ჩვენ თუ რა ასულდგმულებდა გენერალ დენიკინს, თუ რა აინტერესებდა და რისკენ იყო მიპყრობილი მისი თვალები. ჩვენ უკვე აშკარად დავრწმუნდით მაშინ, რომ აქ საქმე გვაქვს არა სოჭის ოლქზე, არა საზღვარის საკითხებზე, არამედ დენიკინი ფიქრობს მოსპოს მუშათა რევოლიუცია, მოსპოს (კედია: დამოუკიდებლობა), საქართველოს რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატია. რომ მას აინტერესებს თვით საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ის ხმალს მხოლოდ მაშინ ჩააგებს, როდესაც ის თავის შავბნელ ძალებს შემოუსევს საქართველოს რესპუბლიკას და ალაგმავს დედამიწის ზურგიდან ჩვენ დამოუკიდებელ რესპუბლიკას და ჩვენ ხალხს. თავისთავად ცხადია, რომ ამის შემდეგ მოლაპარაკებით საქმის დამთავრებაზე ლაპარაკი ზედმეტია. თავიდანვე მოგახსენეთ, რომ ჩვენი მდგომარეობა, ძალთა განწყობილება გვაძლევს ჩვენ უფლებას ვთქვათ, რომ ჩვენ დამშვიდებით შეგვიძლია შევხვდეთ იმ დაბრკოლებას იმ ახალ დაბრკოლებას, რომელიც ჩვენ წინსვლელობის გზაზე გადაგვეღობა. რა მდგომარეობა არის ეს მდგომარეობა? თქვენ გახსოვთ, რომ ერთი წლის უკან, როდესაც ჩვენი ქვეყანა განსაცდელის წინ იდგა, როდესაც მას შემოესია ოსმალეთის ბრბოები, ის მაშინ დამარცხებული დარჩა. მაგრამ დღეს ჩვენში მდგომარეობა შედარებით იმასთან თუ რა მდგომარეობაში ვიყავით ჩვენ ერთი წლის უკან, გაცილებით უკეთესია. ჩვენი დემოკრატია ბრძოლაში გამოიწვრთნა, ის დღეს უკვე უძლეველ გმირს წარმოადგენს. ჩვენი ხალხი დღეს უკვე შეგნებით იცავს თავის სახელმწიფოს და თავის რესპუბლიკას. თუ შარშან ჩვენ სამოქალაქო ომი შიგ გვქონდა, დღეს ზურგი გამაგრებული გვაქვს. თუ შარშან ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით კულტურულ კაცობრიობას და საერთაშორისო დემოკრატიას, დღეს უკვე ძაფი გვაქვს გაბმული კულტურულ სახელმწიფოებთან და საერთაშორისო დემოკრატიასთან. ის რაც დღეს აქ ხდება უკვე საქართველოს მთავრობამ აცნობა საერთაშორისო დემოკრატიას და მთელს განათლებულ კაცობრიობას. და ისმება საკითხი თუ საგარეო საქმეთა მინისტრი საფრანგეთის რესპუბლიკისა პიშონი უკანასკნელ თავის გამოსვლაში ამართლებდა თავის პოლიტიკას რუსეთის საკითხში, იმით რომ დენიკინის ლაშქარი იბრძვის ბოლშევიზმის და ანარქიის წინააღმდეგ და ამით დიდ სამსახურს უწევს ცივილიზაციას და კულტურულ ხალხებს, ჩვენ შეგვიძლიან დღეს შევეკითხოთ საგარეო საქმეთა მინისტრს პიშონს ვის ებრძვის ამ შემთხვევაში დენიკინი და კლემანსოს და ლოიდ ჯორჯის მიერ შეიარაღებული მისი არმია? თუ ბორელს პიშონი უპასუხებს, რომ დენიკინის შეიარაღებით მოკავშირენი აიარაღებენ, იმ ძალას, რომელმაც უნდა დაამხოს ბოლშევიზმი,—ჩვენ არ ვიცით რა პასუხს გასცემს ბორელს პიშონი როდესაც საზოგადოების აზრი გაეცნობა იმ დოკუმენტებს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკამ იქ წარგზავნა, როდესაც იქ გაიგებენ, რომ დღეს ლახვარი დენიკინისა მიმართული არის არა ანარქიის წინააღმდეგ, არა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, არამედ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წინააღმდეგ და საქართველოს ერის წინააღმდეგ, რომელიც იბრძვის თავისუფლებისთვის. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მთელი დემოკრატია საერთაშორისო, მთელი საზოგადოებრივი აზრი, მოწინავე საზოგადოებრივი აზრი ევროპისა ჩვენ მხარეზე იქნება და ის მხარს დაუჭერს საქართველოს რესპუბლიკას და ამიერ-კავკასიის ერებს, როდესაც ისინი თავისუფლებისთვის და თავის ხალხისთვის იბრძვიან. და აი ეს ძალა, რომელსაც ჩვენ სხვათა შორის შეგვიძლიან დავეყრდნოთ. მაგრამ, უმთავრესი ძალა, მოქალაქენო, თავისთავად ცხადია, ჩვენ თვით ჩვენში უნდა ვეძიოთ. ჩვენ სრულიად ეჭვი არ შეგვაქვს იმაში, რომ საქართველოს ერი, საქართველოს ხალხი როგორც ერთი კაცი ისე იბრძოლებს საქართველოს რესპუბლიკის მტრის წინააღმდეგ. ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს იმაში, რომ საქართველოს გლეხთა და მუშათა კლასი სასტიკად შეებრძოლება დენიკინს, ვინაიდან დენიკინს მოაქვს აქ ჩვენში შავი რეაქცია, სოციალისტური და პოლიტიკური რეაქცია, ვინაიდან დენიკინის შემოსვლა უქადის ჩვენ ქვეყანას აოხრებას, ვინაიდან დენიკინის შემოსვლა გვიქადის ჩვენ ერთიანად მოსპობას მთელ ჩვენ მონაპოვარის მთელი ჩვენი თავისუფლების. მაგრამ იმავე დროს, ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ქართველი ერი, ქართველი ხალხი ამ შებრძოლებაში განმარტოებული არ სდგას. ჩვენ უკვე გვაქვს უტყუარი საბუთი იმისა, რომ ადერბაიჯანის რესპუბლიკა ჩვენთან ერთად არის (ტაში. მიესალმებიან ადერბეიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენელს ჯაფაროვს). ადერბეიჯანის მთავრობამ ჩვენი ცნობებით უკვე წარგზავნა თავის საზღვარზე ჯარები, რომელნიც ადერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვრებს მედგრად დაიცავენ (ტაში).

ასე რომ, მოქალაქენო, მე უნდა ვთქვა, რომ საშიშროება დენიკინში და მის ლაშქარში კი არ არის, თქვენ ყველანი კარგად უწყით თუ რას წარმოადგენს ეს ლაშქარი, ის ბრბოები, რომელთაც არავითარი საერთო ლოზუნგი, არავითარი საერთო წმინდა საქმე არ ერთიანებს, არ ასულდგმულებს. თქვენ იცით, რომ ეს ბრბოები გარბის პირველ შემთხვევისათანავე თუ ის სასტიკ წინააღმდეგობას ხედავს თავის მსვლელობაში. საშიშროება მოქალაქენო თვით ჩვენშია. თუ ისტორია გამეორდა, ჩვენდა საუბედუროდ თუ კიდევ ექნება ამიერკავკასიის ისტორიაში ადგილი იმ ფაქტს, როდესაც, სამწუხაროდ, ჰქონდა ადგილი 1 წლის უკან, თუ კიდევ ჩვენ შორის დაიწყო ლაპარაკი ნეიტრალობაზე და იმაზე, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში არ ვებრძვით საერთო მტერს, აი, მოქალაქენო, აქ არის ხიფათი, აქ არის საშიშროება (მაჭავარიანი: ღალატი,) მაგრამ, ჩვენ გვწამს, მოქალაქენო, რომ მწარე გამოცდილება, რომელიც მოგვცა შარშანდელმა ისტორიამ, ჭკუას ასწავლის ყველას და თუ სიდიადე დღევანდელი მომენტისა ვერ შეიგნო პასუხისმგებელმა ჯგუფმა ზოგიერთ ამიერ კავკასიის ხალხისა,—დეე ისტორიის წინაშე მათ აგონ პასუხი, დეე ყველამ დაინახონ თუ ვინ არის ამ საერთო საქმის მოღალატე და ვინ არის ის, ვინც მოუწოდებს ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარულ ბრძოლისაკენ და საერთო საქმის გაკეთებისაკენ. ჩვენ მოქალაქენო, ჯერ კიდევ არ გვაქვს იმის საბუთები, რომ თქვენს წინაშე განვაცხადო, რომ ეს ერთიანობა ჩვენ შორის არ არის. ჩვენ მხოლოდ სამწუხაროდ დღევანდელ დროსთვის ეჭვს გამოვთქვამთ და იმედი გვაქვს, რომ ეს ეჭვი არ გამართლდება. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს უნდა განვაცხადო ამ თქვენს წინაშე, რომ თუ ამ ბრძოლაში საქართველო და ადერბეიჯანი მარტოდ დარჩნენ, მაინც გამარჯვება ჩვენსკენ არის! (ტაში) რადგანაც ჩვენ ვიცავთ წმინდა საქმეს, რადგანაც ჩვენ ვემსახურებით დიად მიზანს, ჩვენ ვიცავთ თავისუფლებას პატარა ერებისა, ჩვენ ვემსახურებით კულტურულ მიზნებს თუ ყველა ჩვენგანი გაიმსჭვალება ამ აზრით, თუ ყველა ჩვენგანი შესძლებს თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიადი საქმის სამსახურში, ჩვენ ვართ დარწმუნებული, რომ გამარჯვება ამ უკანასკნელ შებრძოლებაში ჩვენ კარებზე იქნება. ამნაირად, მოქალაქენო, მე მინდა ჩემი მოკლე განცხადება დავამთავრო შემდეგით: თქვენ ხედავთ რომ მომენტი მართლადაც ფრიად საპასუხისმგებლოა, თქვენ ხედავთ, რომ რუსეთის რეაქცია სცდილობს ლახვარი ჩასცეს ამ უკანასკნელ ოაზისს თავისუფლებისას ამიერკავკასიას და კერძოთ საქართველოს. თქვენ ხედავთ, რომ ამ შემთხვევაში განსაცდელი, რომელიც დღეს ჩვენს წინაშე სდგას თითქმის ბევრად უარესია იმ განსაცდელისა, რომელიც ჩვენ ერთი წლის უკან გამოვიარეთ. თქვენ იცით რომ დენიკინის აქ შემოსვლა ეს იქნებოდა მთელი ჩვენი ერის ფიზიკურად განადგურება (ხმა: მართალია) თქვენ იცით, რომ დენიკინი აქ შემოდის არა როგორც დამპყრობელი ძალა, არამედ როგორც შურის მძიებელი და ის სასტიკი შურს იძიებს. მაგრამ, თუ კი ჩვენი ხალხი რაშიაც ჩვენ ეჭვი არ გვაქვს, სხვა ერებთან ერთად შემოკრებს თავის ძალას თავის ნაცადი დროშის ირგვლივ,—ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დენიკინი და მისი ლაშქარი ამიერკავკასიის საზღვრებს ვერ იხილავს და საქართველოს რესპუბლიკა მაღლა ააფრიალებს თავისუფლების და თავის სახელმწიფოებრივ დროშას (ხანგრძლივი ტაში).

**სამხედრო მინისტრი ნოე რამიშვილი.** მოქალაქენო! საქართველოს კიდევ შავი ღრუბლები უახლოვდება, დენიკინი მის დამოუკიდებლობას ემუქრება მაგრამ ჩვენ სრული იმედი გვაქვს რომ ამ ბრძოლიდან გამარჯვებული ჩვენ გამოვალთ, ჩვენ სრულის იმედით შევყურებთ მომავალს. საქართველოს დემოკრატია გამოიბრძმედა რევოლიუციონურ ომებში. მას თავისი წითელი დროშა შავბნელი რეაქციის დროსაც კი არ დაუშვია. ამ დემოკრატიამ მოგვიპოვა ჩვენ თავისუფლება და იგი ერთხელ დაჭერილ პოზიციებს არასოდეს არ დასთმობს.

ჩვენი მთავრობა და დემოკრატია აგრესიულ პოლიტიკას არ აწარმოებდა და იგი მხოლოდ თავის თავს იცავდა და ამ თავდაცვის დროს მას არასოდეს ქართველი ერის ტრადიციისათვის არ უღალატნია.

დენიკინის ლაშქარს აკლია ის ძალა რაც ჩვენა გვაქვს, ჩვენ ვიცავთ თავისუფლებას, ჩვენ ვიცავთ პატარა ერთა თავისუფალ ცხოვრებას. მათ დროშაზე კი აწერია გაერთიანებული რეაქციონური რუსეთი.

დენიკინის მიზანია საქართველოს დამორჩილება, მაგრამ ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ იგი მიზანს ვერ მიაღწევს.

ჩვენ განმარტოებული არ ვიქნებით ამ ბრძოლაში. ჩვენთან იქნება, მთა და აზერბაიჯანი, კი მართალია მთა დამარცხდა. ჩვენ ღრმადა გვწამს ჩვენთან ერთად იომებენ შავი რეაქციის წინააღმდეგ.

აზერბაიჯანიც ჩვენთან არის ის ისე მოიქცა, როგორც საჭირო იყო, მან გაამაგრა თავისი სტრატეგიული პუნქტები.

ჩვენც ყოველივე საჭირო ზომები მივიღეთ.

ჩვენ ღრმადა გვრწამს, რომ ჩვენ ორი რესპუბლიკა შევძლებთ საკუთარი ძალებით ჩვენი დამოუკიდებლობა დავიცვათ, კერძოდ ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია, რომელნიც დარაჯად უდგანან ჩვენს თავისუფლებას, ჩვენის ღრმა რწმენით შესძლებს, პასუხი გასცეს ჩვენ მტრებს და საქართველოს დროშა ფეხქვეშ არავის გაათელინოს.

**შ. მესხიშვილი.** (ს. ფ.) (მოკლედ) მოქალაქენო! კიდევ ერთი საფრთხე მოევლინა ჩვენს სამშობლოს. ჩრდილოეთიდან გვემუქრება ჩრდილოეთის შავი რეაქცია. დენიკინი ცხადია, ვერ შეურიგდება პატარა ერთა და კერძოდ ჩვენს თავისუფლებას. ჩვენ შევძლებით შეგვექმნა პატარა დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს კი მოსვენებას არ აძლევს დენიკინს. ვინც დენიკინის წარმომადგენელთა და ჩვენი მთავრობის შორის გამართულ მოლაპარაკებას იცნობს, იგი დარწმუნდებოდა, რომ, ჩვენს შორის სადაოა არაა მიწის რომელიმე პატარა ნაჭერი, არამედ უფრო დიდი რამ—ჩვენი დამოუკიდებლობა. დენიკინს მიზნად დაუსახავს ქართველი ერის მოსპობა, ჩვენთვის დღეს არის 2 გზა; თავისუფლებისა და სიკვდილისა, გზა თავისუფლებისა არის ის გზა, რომლისკენაც ჩვენი მთავრობა მოგვიწოდებს და ჩვენ ამ გზით უნდა წავიდეთ.

დენიკინი უცხო მუნდირში გამოხვეულ ღენერლებს აგზავნის ჩვენთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით რომ უცხო მუნდირი ვერ დაჰფარავს დენიკინის სულის კვეთებას. იგი ჩვენ მოსპობას გვიქადის და ჩვენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდის უნდა ვიბრძოლოთ ამ თავისუფლების გზაზე, ჩვენ ს. ფ. ამ ბრძოლაში, მთელი ჩვენის არსებით, თქვენთან ვიქნებით. ჩვენ ვიბრძოლებთ ყველანი ვისაც კი ხელში თოფის აღება შეგვეძლება.

მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამაოა ფრონტებზე ბრძოლა თუ ზურგი გამაგრებული არა გაქვს. და მე მოველოდი ჩვენი შინაგან-საქმეთა მინისტრი გვეტყოდა იმის შესახებ. თუ რა ზომები მიიღო მან ამ ზურგის გასამაგრებლად. თბილისი სავსეა დენიკინელებით, აქ ბუდეა ჩვენი დამოუკიდებლობის მტრების. და ჩვენ თუ გამარჯვება გვინდა ჯერ თბილისი უნდა გავწმინდოთ, რომ ფრონტზე გამარჯვებულ ლაშქრის ზურგს უკანიდან მოღალატეთა ლახვარი არ ემუქრებოდეს.

**ი. გობეჩია** (ს.-რ.). აღნიშნავს იმას თუ რა დღეს აყენებს დენიკინი რუსის რევოლიუციონურ დემოკრატიას; შემდეგ თუ რა ასულდგმულებს მას, როდესაც ამიერ-კავკასიისაკენ და კერძოდ საქართველოსაკენ მოდის.

იგი აღნიშნავს აგრეთვე, რომ მათ ზურგს უმაგრებენ უცხო სახელმწიფოები მაგრამ ამან ქართველი დემოკრატია არ უნდა შეაშინოს და იგი მედგრად უნდა ეკვეთოს შავი რეაქციის მოძღვარ დენიკინს.

**რ. არსენიძე** (ს.-დ.). მოქალაქენო! დენიკინის ჩვენზედ გამოლაშქრება პირველი არ არის, ერთი თვე თუ გასულა მას შემდეგ რაც ჩვენ ამ ტრიბუნიდან დენიკინის შემოსევაზედ ვლაპარაკობდით.

რუსეთში დაგუბებული აყროლებული ტბა კავკასიის მთებს მოადგა და ლამობს მის გადმოხეთქას და კავკასიის რესპუბლიკათა წალეკას. მაგრამ ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ იგი ვერ მიაღწევს თავის მიზანს. დენიკინის ბანდა საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ გააუქმებს. ჩვენი თეთრი გიორგი არც დღეს იგემებს დამარცხებას. დენიკინი ვერ შესძლებს ქართველი დემოკრატია დააჩოქოს. დენიკინი საშიში არ არის მით უფრო, რომ ჩვენ მასთან ბრძოლაში მარტონი არა ვართ, ჩვენთანაა ჩვენი მოძმე რესპუბლიკა აზერბაიჯანი. მისი დემოკრატია უკვე გაემზადა დენიკინის ღირსეულად შესახვედრად (ტაში). მთის ხალხიც რომელსაც მათმა მთავრობამ იმედი გაუცრუა, დენიკინთან ბრძოლაში ჩვენთან იქნება (ტაში). ბაქოს პროლეტარიატიც, რომელსაც შეიძლება ჩვენს წინააღმდეგ ბევრი სადაო ჰქონდა, დენიკინის წინააღმდეგ სასტიკად იბრძოლებს. მხოლოდ ჩვენ არ ვიცით თუ სომხეთი რას აპირებს, მათი პასუხისმგებელნი მოვალენი არიან განაცხადონ თუ რა გზას დაადგებიან ისინი, მე კი მინდა ვიწამო, რომ სომხეთის დემოკრატია, თუ კი მას უჩქეფს რევოლიუციონური სისხლი, ამ ბრძოლაში ჩვენთან იქნება. ჩვენ გვწამს, რომ ის წითელი დროშა, რომელსაც ყოველ ბრძოლაში მოაფრიალებს ჩვენი გვარდია და ის ეროვნული სამფეროვანი დროშა, რომელიც ჩვენ ჯარს ხელთ უპყრია, სასტიკი რისხვა იქნება დენიკინის ხროვა ოფიცერთათვის.

მე მოუწოდებ ყველა წრეებს ვისაც რითი შეუძლია, შემოკრბენ მთავრობის გარშემო.

შემდეგ ილაპარაკეს ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით სპ. კედიამ და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსმა ვალ. ჯუღელმა, რომელთა სიტყვები შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

### რეზოლიუცია.

კამათის დასრულების შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ მიიღო შემდეგი ფორმულა მორიგ საქმეებზედ გარდასვლისა, წარმოდგენილი სოც.-დემ. ფრაქციის სახელით:

მოისმინა რა დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის მოხსენება დენიკინის შემოსევის შესახებ, იგი აცხადებს, ეს გამოწვეულია ძველი რუსეთის მოტრფიალე იმპერიალისტთა ზრახვებით, წვრილი ერების დამონება და დემოკრატიის განადგურება.

დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია ღირსეულად შეხვდება მტერს და დაიცავს საქართველოს რესპუბლიკის ღირსებას და ხელშეუხებლობას.

დამფუძნებელი კრება მოუწოდებს მთელ ერს შემოკრბეს მთავრობის გარშემო, ზურგი გაუმაგროს ლაშქარს როგორც მეომართა მიცემით ისე ქონებრივ მსხვერპლის გაღებით და მორალური დახმარებით.

დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები და მათი დემოკრატია, ხელიხელ ჩაკიდებულნი იბრძოლებენ საერთო საფრთხის წინაშე და თავიანთ თავისუფლებას დაიცავენ.

დამფუძნებელი კრება რწმენას გამოსთქვამს, რომ ევროპის სახელმწიფოები და განსაკუთრებით მუშათა დემოკრატია ხმას აღიმაღლებენ ჩვენი ერისა და დემოკრატიის დასაცავად.

დამფუძნებელი კრება მიმართავს პარიზის კონფერენციას და ევროპის ყველა პარლამენტს პროტესტით დენიკის შეიარაღებისა და მისი შემოსევისათვის პატარა ერთა გასანადგურებლათა და დასამორჩილებლად.

## ჩერქეზების აჯანყება მოხალისეთა წინააღმდეგ

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლის (საქართველოში) ცნობით, მოხალისეთა ჯარს ჩერქეზები აჯანყებია. აჯანყებულებს ხასან-კიურტეს მთელი რაზმისათვის ყელები დაუჭრიათ.

მათ დასამშვიდებლად პეტროვსკიდან გაუგზავნიათ მოხალისეთა ჯარის ნაწილი არტილერიით.

## ჩრდილ. კავკას. და აზერბაიჯ. დელ. ვილსონთან

პრეზიდენტმა ვილსონმა ხუთშაბათს დილით მიიღო ჩრდილო კავკასიის დელეგაცია რომელსაც მეთაურობდა ჩერმოევი — მიიღო აგრეთვე აზერბაიჯანის წარმომადგენელი ჰოდარ-ბამატოვი, ჩრდილო კავკასიის გარეშე საქმეთა მინისტრი, თოფჩიბაშევი, აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარე. დელეგატებმა წარუდგინეს თავისი მოთხოვნილებანი.

## ქრონიკა

**მადლობის გამოცხადება.** აზერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში გულითად მადლობას უძღვნის ყველა იმ დაწესებულებათ და კერძო პირთ, რომლებმაც მიულოცეს მას აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის წლის თავის დღესასწაული.

**ქართული ლეგიონი გორის მაზრაში.** ქართულ ლეგიონის სამი ასეული გაიგზავნა ოსებით დასახლებულ ქართლის (გორის მაზრა) ადგილებში.

**მე-8-ე გიმნაზიის მოწაფეთა საღამო.** დღეს, 3 ივნისს ქალთა მეშვიდე გიმნაზიის დარბაზში (ერმოლოვის ქუჩა) გაიმართება ვაჟთა მე 8-ე გიმნაზიის მე-8-ე კლასის მოწაფეთა გამოსათხოვარი საღამო. წაკითხული იქნება რეფერატები, სცენები, ლექსები. კუპლეტები. წარმოდგენილი იქნება ერთ მოქმედებიანი ვოდევილი. ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა. შემდეგ გაიმართება ცეკვა, სიმღერა და სხვა გასართობები.

**იტალიის მისიის წარმომადგენელნი ქუთაისში.** 25 მაისს, დილით ქუთაისში ჩამოვიდნენ იტალიის მისიის წარმომადგენელნი. სადგურზე მათ შეხვდნენ ქუთაისის ქალაქის გამგეობის წარმომადგენელნი. სადგურიდან იტალიელები მიწვეულ იქმნენ ქალაქის გამგეობის დარბაზში. დასვენების შემდეგ წავიდნენ სხვა და სხვა საყურადღებო დაწესებულების სანახავად. დაათვალიერეს მუზეუმი, სამეურნეო სასწავლებელი და ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. უკანასკნელის ნახვით მისიის წარმომადგენელნი მეტად ნასიამოვნები და განცვიფრებულნი დარჩნენ. საღამოთი ქალაქის გამგეობამ საზოგადო საკრებულოში მათ გაუმართა სადილი, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულების და პრესის წარმომადგენელნი. სადილზე სხვათა შორის თავიანთ სიტყვაში აღნიშნეს, რომ ისინი არიან აქ ჩამოსულნი მხოლოდ ადგილობრივ ვაჭრობისა და მადნეულობის გასაცნობათ. აგრეთვე აღნიშნეს, რომ კვირაში ერთხელ იტალიიდან ფოთის ნავთსადგურში ყოველთვის მოვა ერთი გემი სხვა და სხვა საქონლით. შემოტანილი იქნება აგრეთვე კანადიდან დიდძალი პურის ფქვილი. 26 მაისს, ხსენებული მისიის წარმომადგენელნი წავიდნენ ტყიბულში, იქიდან წავლენ ჭიათურაში, მადნების დასათვალიერებლად.

## განათლებ. სამინისტროში

**სახელმძღვანელო წიგნთა განხილვა.** სახალხო განათლების სამინისტრო ამით აცხადებს, რომ სამინისტროსთან დაარსდა სასწავლო კომიტეტი, რომელსაც მინდობილი აქვს რესპუბლიკის სკოლებში სახმარ სხვა და სხვა საგნის სახელმძღვანელოთა გარჩევა. საუკეთესო სახელმძღვანელოს ავტორებს მიეცემა პრემიები სპეციალურად ამ საგნისათვის გადადებულ თანხიდან.

სამინისტრო მოუწოდებს ავტორებს წარმოადგინონ თავისი სახელმძღვანელოები სარეცენზიოდ.

**დეპუტატის დანიშვნა.** მაჩაიძის გიმნაზიაში გამოცდებზე დასასწრებლად სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენლად ვაჟთა მე-5 გიმნაზიის დირექტორი ი. ჯიშკარიანი დაინიშნა.

**უფასო საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ** გუშინ დილის 11 საათზე სახალხო განათლების სამინისტროს ბინაზე მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით გაიხსნა ყრილობა საქართველოს რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენლებისა. ყრილობის საგანია, უფასო-საყოველთაო სწავლის შემოღების საკითხი.

**სასწავლებლის რევიზია.** საშუალო სასწავლებლების მთავარი გამგის ს. დანელიას თავმჯდომარეობით გუშინ დაიწყო რევიზია ბილანიშვილის ნაძალადევის გიმნაზიისა.

## ლტოლვილთა ცხოვრებიდან

**დანიშვნა.** სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებულად ჩრდილო კავკასიაში, საქ. პარლამენტის ყოფილი წევრი ტ. ავეტისიანი დაინიშნა.

**ლტოლვილთა მატარებელი.** დღეს თბილისიდან ნახიჩევანში წავა ლტოლვილთა მორიგი მატარებელი დაახლოვებით 35 ვაგონი.

**ამერიკელთა კომიტეტის დახმარება.** ამერიკელთა დამხმარე კომიტეტმა ბათუმში გახსნა თავშესაფარი სომეხ ობოლთათვის.

— ამავე კომიტეტმა ბათუმშივე გახსნა რამოდენიმე ფურნე საიდანაც მისცემენ პურს მგზავრ ლტოლვილებს.

**თავშესაფარი.** ართვინის სომეხთა ეროვნულმა საბჭომ გახსნა ართვინში ობოლთა თავშესაფარი დაახლოვებით 300 ბავშვისათვის.

— სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოში ხსენებულ თავშესაფარის ხარჯებისათვის 15.000 მან. გადასდო.

## სხვა და სხვა ამბებ.

**მოკლულის გვამი.** ივნისის 1 ბოტანიკურ ბაღის ქუჩაზე მე-10 №-ში სახლში იპოვეს მირ-ჰაჯი-აბდულ ოღლის გვამი.

**მარცხი.** 31 მაისს დილის 11 საათზე ინგლისელთა საბარგო ავტომობილი ელისაბედის ქუჩაზე დაეტაკა 7 წლის ბავშვს ან. კობიევს და მძიმედ დააშავა.

**ქურდობა.** 30 მაისს ღამით აფრიკიანის ბინიდან (კოჯორის ქ. № 2) ბოროტ-გამზრახველებმა 20,000 მან. ტანთსაცმელი მოიპარეს.

27 მაისს რაფ. ვიგოდსკის ბინიდან (ბებუთოვის ქუჩა № 44) ბოროტ-გამზრახველებმა 25,000 მან. სხ. და სხ. ტანთსაცმელი მოიპარეს.

## პარტიული ცხოვრება

**მოხსენება პარტიულ სტუდენტთა წრეში.** ხუთშაბათს, 5 ივნისს საღამოს 5 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის მე 3 აუდიტორიაში ერ.-დემოკ. სტუდენტობის კრებაზე ამხანაგი ე. პატარიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „თავისუფალი ვაჭრობა თუ პროტექციონიზმი დღევანდელ საქართველოსათვის.

## სამხატვრო ქრონიკა

**პოეტმა სანდრო ჩაჩიკაშვილმა** დასწერა ახალი პოემა „სიყვარული ვერდენთა“.

**იბეჭდება და მალე გამოვა** „ორიენტალური სიტყვები სანდრო ჩაჩიკაშვილის ლექსებში“ პრივატ-დოცენტის დიმიტრი გორდეევის რედაქტორობით.

**დ. თარხნიშვილების საღამო.** 13 თიბათვეს, სახელმწ. თეატრში გაიმართება დ. თარხნიშვილების საღამო შემდეგი შინაარსით: ა) „ხანუმა“, ბ) საკონცერტო განყოფილება და გ) დივერტისმენტი.

## მუნიციპალური ცხოვრება

### მილიციის უფროსის ბრძანება.

მილიციის უფროსმა ბ-ნ ვ. სულაქველიძემ შემდეგი ბრძანება გამოსცა: „როგორც შევამჩნიე, ქალაქ თბილისში, მილიციონერები სისხლის სამართლის და აგრეთვე ქალაქის მილიციისა, თავის ნებით, პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა დაუსწრებლად, სახლებში ჩხრეკას ახდენენ, როგორც დღისით, აგრეთვე ღამითაც. მილიციონერების ასეთ მოქმედებას ვსთვლი უკანონოდ, რადგანაც ჩხრეკის დროს შესაძლებელია მოხდეს სხვა და სხვა ბოროტმოქმედება, რაიც გამოიწვევს მოქალაქეთა შორის საფუძვლიან საჩივრებს, ამისთვის კატეგორიულად მოვითხოვ რომ ჩხრეკა ხდებოდეს, როგორც სისხლის სამართლის, აგრეთვე ქალაქის მილიციის პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა თანდასწრებით ე. ი. სისხლის სამართლის მილიციის უფროსის, ან მისი თანაშემწის, კომისრის ან მისი თანაშემწის ხელმძღვანელობით და რამდენათაც შესაძლებელია უნდა უცადონ, რომ ჩხრეკა ღამით არ ხდებოდეს, გარდა ზოგიერთ სერიოზულ და საჩქარო შემთხვევებისა.

აგრეთვე კატეგორიულად მოვითხოვ, რომ იარაღის ჩამორთმევაც აღნიშნული წესით ხდებოდეს. თუ გარემოება მოითხოვს, რომ ვინმეს იარაღი უნდა ჩამოერთვას, მილიციონერი იმას მიიწვევს კომისარიატში, სადაც პასუხისმგებელ თანამდებობის პირი ჩამოართმევს მას იარაღს, თუ ამას საჭიროთ დაინახავს, დოკუმენტების გასინჯვის შემდეგ.

უკეთუ ასეთ მოთხოვას ვინმე წინააღმდეგობას გაუწევს, იმ შემთხვევაში მილიციონერმა თვითონ უნდა ჩამოართვას მას იარაღი და დაკავებული იარაღით წარადგინოს სისხლის სამართლის მილიციის უფროსის კანცელარიაში, ან უბნის კომისარიატში შემდეგი განკარგულებისათვის.

## აგრარული წეს-რიგი

არა ერთხელ დაწერილა გაზეთებში „სოფელს მიეშველეთ“, „სოფელი იღუპებაო“. სოფელი რომ იღუპება—ეს ჭეშმარიტება არის. ქვემოთ მოთხრობილი ამბები მოწმობენ უტყუარათ, რომ აგრარულმა რეფორმამ სოფელი არივ დარია, მის დაწყნარებას არ უნდა ველოდით, რადგან მთავრობის წარმომადგენლები თავის მოვალეობას არ ასრულებენ და თავის მოქმედებით უფრო ხელს უწყობენ ანარქიას. სოფელ ტეზერში და საზოგადოთ ხაშურის რაიონში ბევრი უწესოება ხდება, მაგრამ მაშველი არსად ჩანს. გლეხები უცეინდებიან მემამულეებს საკუთარ მამულებში, ჩამოურთმევლში. და ძალით ხნავენ, სათიბებში საქონელს უშვებენ და ანადგურებენ. ყოველივე შემჩნევას, რომ მთავრობას ის ადგილები არ ჩამოურთმევია პატრონებისთვის, რადგან ნორმას არ აღემატება და თითონ ჰირდება მეპატრონებსო გლეხები მუქარით უპასუხებენ. მათი აზრით მთავრობამ მათ უნდა დაუჭიროს მხარი, თვარა მათი ამორჩეულია და ისინი გადააგდებენ ადგილებიდან და მათ ადგილზე სხვას დააყენებენ. არაფერი მუდარა და მთავრობასთან განცხადება საქმეს არ შველის. იყო ამნაირი შემთხვევა აპრილის დამლევს: მეპატრონეებს შეესიენ სათიბში და ჯოგით ანადგურებდენ. პატრონებმა იჩივლეს ხაშურის კომისართან, მან მილიციონერები გამოაგზავნა, უკანასკნელებმა ნახეს, რომ უსამართლობას ჩადიოდენ და ჯოგი გამორეკეს; მეპატრონეებს უთხრეს კიდევ წასულიყვენ კომისართან· კომისარმა დაგვიბარა, თქვენი ჩამოსვლა არ არის საჭიროო. გალეშილმა მილიციონერებმა ხაშურის რაიონისამ ამისთანა პასუხისთვინ მათრახი დაურთო ხანში შესულ კეთილ ადამიანს ვ. ორჯონიკიძეს, ორი მათრახს ურტყამდა და ერთიც თოფს უღერდა ხმა არ ამოიღოვო. ამისთანა თვითნებობა და ველურობა დაუსჯელი რჩება და პატრონი არსაიდან სჩანს. გლეხებმა მერეც ჩარეკეს სათიბში საქონელი; მეპატრონეებმა ხელ-ახლა განაცხადეს, მაგრამ პასუხათ მოისმინეს შემდეგი: კომისარი ესაუბრება გლეხებს, მე ვერ მოქცემ სათიბის მოსპობის უფლებას და თქვენ როგორც გინდათ ისე მოიქეცითო. რას მოასწავებს ამისთანა პასუხი, მკითხველიც მიხვდება! ამ ნაირი ზომებით საქმის გაკეთება სად გაგონილა? გლეხებსაც ესმის, რომ რაც უნდა ჩაიდინონ, პასუხისმგებელნი არ არიან და სახნავშიდაც უხტებიან მეპატრონეს და არ აძლევენ პატრონს ნებას თავის ადგილი დაიმუშავოს. ყველა ეს იცის უფროსმა, მაგრამ ყველაფერს თვალ-დახუჭული უყურებს.

ეგრედ წოდებულ „ყიფიანთ უბანში“ (ხაშურის რაიონი) აპრილშივე ამნაირ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: სამმა ტეზერელმა გლეხმა კეტები დაურთეს მოხუცებულ პატიოსან გლეხს დავით კიკაძეს და შეიძლება კიდევაც მოეკლათ რომ შემთხვევით ამ სცენას არ წამოსწრებოდა ერთი გვარდიელი, რომელმაც დაიფარა კაცი სიკვდილისა და გაგლეჯისაგან: როგორც გვარდიელმა განაცხადა, კიკაძეს კეტებს ურტყამდენ და ჯიბეში რაღაცას უძებნიდენ, ალბათ საბუთებს. საქმე იმაშია, რომ კიკაძეს ჰქონია კაი ხნის კანონიერათ შეძენილი ადგილი, ამ ადგილს ართმევენ ძალმომრეობით ნიკო, გიორგი და მესამე აბრამაშვილები, მხოლოდ რადგან დარწმუნდენ, რომ კანონით ვერას გახდებოდნენ, კეტებს მიმართეს და საბუთებიც უნდოდათ წაერთმიათ. ნუ გგონიათ, რომ დამნაშავე ამრევი სოფლის, კანონიერათ და სასტიკათ დასჯილიყო. და როდესაც ხედავენ რომ მტაცებელნი და დამნაშავენი პასუხს არ აგებს, ეს ხრწნის საზოგადოებას და ძირს უთხრის კანონიერ ცხოვრებას. ამას დავსძენოთ შემდეგი: ერთ აზნაურს ექვსი დღიური აქ, მას მოუნდომეს მისი წართმევაც, საბუთი ამისი ის მოსაზრებაა გლეხების, რომ ათ წელიწადს წინ აზნაურმა ადგილი გაჰყიდა და ამითი დანაშაული ჩაიდინა და ამიტომ ეხლა გლეხებს აღარაფერი აქვთ მისგან ჩამოსართმევათო. ნუ გგონია ეს ზღაპარი იყოს. ეს ნამდვილი ამბავი გახლავთ. ან რა გასაკვირალია უვიცი კაცისაგან ამისთანა სიტყვები, როდესაც მასთან მოდის ხაშურის ყოფილი მასწავლებელი, მგონია ეხლა დამფუძნებელი კრების წევრი (სოციალ-დემოკრატი) და უქადაგებს ახლაც გაცვეთილ ტემას, რომ ყოველიფერი უბედურების მიზეზი თავადაზნაურები არი და მოუჭირეთ მათ ხელიო. ამ უბედურებასთან ისიც აღსანიშნავია რომ თოფების გრიალს და ხალხის შიშს არავინ ყურადღებას არ აქცევს.

დ. ს—ძე.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

2 თიბათვე.

### ინგლისური პრესა

**მოკავშირენი გერმანიაზე.**

მაშინ, როდესაც გერმანიის მთავრობა სინდისიერად იქცევა, მისი დელეგაცია ვერსალში უნებლიედ ამხილებს მას. გერმანია აბრალებდა მოკავშირეებს, რომ ისინი საკმაო სურსათს არ აწვდიან მას, რის გამოც ის გასაჭირშია. „ფრანკფურტერ ფრაიცაიტ“-ის ქვემო მოყვანილი სტრიქონები ნათლად მოწმობს, რომ გერმანელებ ავე ბრალდება, თუ მცხოვრებნი საკმაო სურსათს არ ღებულობენ; სოციალ-დემოკრატების რჩევა რომ მიეღოდ, სასურსათო საქმეში ეხლანდელ დაბრკოლებებს თავიდან აიცილებდნენ. „ფრანქფურტერ ფრაიცაიტი“ განმარტავს, რომ როგორც საკვები საგნები ისე პირველსაჭიროების საგნები დამუშავების შემდეგ ჯარის საჭიროებისთვის იქნა გამოყენებული და დაასკვნის: „მაგრამ უკეთესად მიიჩნიეს ბრალი მოკავშირეთათვის დაედოთ და გულუბრყვილო გერმანელი ხალხი დაერწმუნებიათ, რომ გარემოცვა ქალების და ბავშვების დაღუპვის ბრალი მოკავშირეებისთვის დაედოთ ეჭვს გარეშეა, რომ გარემოცვა ისეთივე ზომაა, როგორსაც გერმანელებმა მიმართეს პოლონეთის და ბელგიის მცხოვრებლებისადმი. მაგრამ უმთავრესად ბრალი ედება გერმანიის შტაბს რომელიც უმთავრესადაა პასუხისმგებელი ყველაფერში. გერმანიის მთავრობის დახაარებით, გერმანიის ექიმთა კავშირთან ერთად, რომელნიც გარემოცვის სიმკაცრეზე სწერენ, მთავარმა შტაბმა გამოიწვია გერმანიის დამშევა. არც ერთმა ექიმმა, არც ერთმა მსწავლულმა და პარლამენტის არც ერთმა წევრმა, დამოუკიდებელმაც კი, მაშინ პროტესტი არ განაცხადა იმ მიზეზის გამო, რომელმაც გერმანიის ხალხის დამშევა და უბედურება გამოიწვია. ვერც დროებითმა ზავმა და ვერც სოციალისტურ ხანის დაწყებამ გერმანიის სასურსათო რეჟიმი ვერ შესცვალა. ებერტის, შეიდემანის და ნოსკეს საომარი მისწრაფებანი პირველ საჭიროების სასურსათო საგნებს სამხედრო მასალას და საიდუმლო მზადებას ხმარდება. ეს მზადება ნთქამს ყოველგვარ სურსათს რომელიც სხვა მიზნებისთვის შეიძლება გამოეყენებიათ.

**ფრენის საქმე.**

პარიზიდან იუწყებიან; მფრინავმა გლენ კერტისმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში ატლანტიის საჰაერო გზა ზღვის კუნძულებზე გაივლის, რადგან ნიუ-ფანდ ლენდელში დაბლა დაშვება ხშირი ნისლის გამო მოსახერხებელი არაა. ჰაეროპლანები პირდაპირ აზორის კუნძულებზე გადაფრინდებიან.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ საჰაერო სამარჯვეთო მფრინავი რობერტ მიდი და ცინცინატელი მისსმარჯორი დიუმონი ხვალ ჯვარს დაიწერენ ელინგტონის ჰაეროდრომზე აფრენის დროს. სხვა მფრინავები, როგორც მოწმენი გარს შემოერტყმიან მეფე დედოფლის ჰაეროპლანს, სადაც მღვდელიც იქნება და რომელზედ ქორწინება მოხდება ფრენის დროს.

**გერმანიის შევიწროება**

თუ რაიმე ცვლილება მოხდა გერმანიისა და მოკავშირეთა დამოკიდებულებაში უმაღლესი ეკონომიური საბჭო მზადაა განაახლოს გერმანიის სრული გარემოცვა, რომელიც ეხლა უფრო მტკიცე იქნება, ვიდრე ომის დროს, ამის შესახებ მოკავშირენი შეთანხმდნენ გერმანიის მეზობლად მყოფ ნეიტრალ სახელმწიფოებთან, რომელთაც მოკავშირეებს სრული გარანტია მისცეს იმისა, რომ მათთან საქონლის გაცვლა-გამოცვლა სრულიად არ შეფერხდება, ხოლო გერმანიაში არავითარ საქონელს არ გაუშვებენ და არც იქიდან გამოზიდავენ რამეს გარემოცვას მოყვება გერმანიის საფოსტო და სატელეგრაფო ურთიერთობის კონტროლი. რასაკვირველია, არც კერძო ტვირთს გაუშვებენ, თუმცა შესაძლებელია, რომ გერმანიას ქალებისა და ბავშვებისთვის საჭირო სულ მცირეოდენ სურსათს მიაწვდიან, მოკავშირეთა მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა იმდენს, რამდენსაც ეხლა აწვდიან გერმანიას. ეხლა გერმანელები სურსათის ფასს ოქროთი იხდიან, რაც გერმანიის ოქროს რაოდენობას სწრაფად ამცირებს. ეს ოქრო ეგზავნება ბელგიის ეროვნულ ბანკს. ეკონომისტები, რომელთაც საზავო კონფერენციასთან აქვთ დამოკიდებულება, ამბობენ, რომ უეჭველად მსოფლიო კრედიტები რყევას განიცდიდნენ, რომ ეს ოქრო ამერიკაში ეგზავნათ, ამიტომ გადასწყვიტეს, ის ბელგიაში დასტოვონ. ეს ოქრო თანდათან შემცირდება იმის გამო, რომ იგი გადახდილ იქნება სხვა და სხვა ქვეყნებიდან შემოზიდულ საქონელში, რის გამოც შეიქნება მსოფლიო ვაჭრობა. შეერთებული შტატები დიდ სავაჭრო უპირატესობას მიიღებს, რაც მოკავშირეთათვის ხელსაყრელი იქნება. ეკონომისტები ფიქრობენ, რომ ასეთი გეგმა მოკავშირეებს გაუადვილებს ამერიკის ვალის გადახდას და მოკავშირეებს კი გაუადვილებს მუშაობის წინანდელ ნორმალურ პირობებში დაბრუნებას. ეს დიდ საჭიროებადაა აღიარებული მსოფლიო საქონლის გაცვლა-გამოცვლის აღსადგენად.

**გერმანული გემები მოკავშირეთა სამსახურში.**

გერმანული გემი „პარნასი“ საერთაშორისო დროშით იაპონიაში გაიგზავნა იქიდან საფრანგეთისთვის რკინის მადანის წამოსაღებათ. მოკავშირეებს გადაეცათ აგრეთვე სხვა ერთი გემი, რომელიც მალე გავა ზღვაში

**ავსტრიის დელეგატები**

შაბათს ავსტრიის დელეგატებმა კამერჰერ რენნერის მეთაურობით რწმუნებულების ქაღალდები წარმოადგინეს. ამას დაესწრნენ ჟიულ კამბონი, ლორდ გარდინგი, მარკიზ იმპერიის მატსუი.

### ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი,** მაისის 31. 31 ც. ა. კ ბ. ბ ბიულეტენი.

**ხარკოვი,** მაის 29 პირდაპირი ჩქარი მატარებელი კიევსა და ხარკოვის შუა პოლტავაზე კვირაში სამჯერ ივლის.

**ხარკოვი,** მაის. 29. საუკეთესო სახლებში ბურჟუაზიის მაგიერ მუშებს ასახლებენ. მინერალურ წყაროების რეგისტრაცია მოახდინეს. წყლებს მხოლოდ ბარათებით მისცემენ.

**მოსკოვი.** სამხედრო სატრანსპორტო და ტეხნიკურ საჭიროებისთვის სპირტის უქონლობის გამო გადასწყდა არყის სახდელი ქარხნების ამუშავება. ექვსი ქარხანა სრულიად მზათ არის.

**ხარკოვი.** მაისის 30. სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ მეულაუნმა, სამხრეთის ფრონტის სერიოზულ მდგომარეობის შესახებ ლაპარაკის დროს განაცხადა, რომ დრო არის დონეცის ოლქში ყველა ძალები გაიგზავნოს.

**სარატოვი.** მაისის 27. რადგანაც ფული საკმარისი არ არის დაადგინეს, რომ გუბერნიის საბჭოს და საზოგადო დაწესებულებები ერთი მეორეს მხოლოდ ჩეკებით გაუსწორებენ ფულის ანგარიშს.

**კარნაფონი.** მაისის 28. რეიტერის სააგენტოს ოფიციალური ცნობით, გერმანიის საპასუხო წინადადებაში შემდეგი პირობებია: გერმანია თანახმაა მდ. ვისლას ნეიტრალიზაციაზე, პოლონელებს თანასწორობისბ ზღვაოსნობით სარგებლობის გარანტიას აძლევს. გერმანია მოითხოვს იმ ოლქების განთავისუფლებას, რომელიც მოკავშირეების უპირავთ ექვსი თვის განმავლობაში დასასრულ ნათქვამია, რომ ვადა, რომელიც გერმანელებს მისცეს მემორანდუმის გამოსამუშავებლათ ძალიან მცირეა, ყველა საკითხების განსახილველად.

**ლიონი,** მაისის 29. ვარშავიდან მოსული ცნობით, პოლონეთის მთავრობამ საზღვარ-გარედ წარმომადგენლები დანიშნა. საფრანგეთის სოციალისტური პარტია თავის რეზოლუციაში გამოსთქვამს თანაგრძნობას ყველა იმ ქვეყნებისადმი, რომელიც კაპიტალისტების მონობის ქვეშ იმყოფებიან და აღნიშნავს, რომ ამბები ყოველ დღე ამართლებს რუსეთის რევოლიუციის მიმართ პოლიტიკას, რომელმაც უკანასკნელ კონგრესზე გაიმარჯვა. კლემანსომ და ლლოიდ ჯორჯმა უნგრეთის ხალხის მიმართ ბოროტმოქმედება ჩაიდინეს, ვილსონი კი ამას გულგრილად უყურებს. ყოველი პატიოსანი ფრანგის ვალია, მკაცრი პროტესტი განაცხადოს იმ სასირცხვილო საქმის გამო, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ ჩაიდინა, „ჰუმანიტის“ ცნობით მუშათა კონფერენციის მთავარმა მდივანმა ჟუომ პროფ. კავშირის დელეგატობის მანდატი პარიზის კონფერენციაც დაუბრუნა, პარიზში მომხდარ პირველ მაისის ამბების საკითხში საფრანგეთის მთავრობის მიერ დაჭერილ პოზიციის წინ აღმდეგ პროტესტის ნიშნათ „ჰუმანიტე“ მიესალმა ამას. სოციალისტმა დეპუტატებმა მიწათ-მოქმედების და საზღვაო ვაჭრობის მთავრობის კომისარებმა, სოციალისტური პარტიის ადმინისტრატიული კომიტეტის წინადადებით, ამავე მიზეზით, მთავრობის ადგილები დასტოვეს. ეხლა საფრანგეთის მთავრობაში არც ერთი სოციალისტი აღარ არის.

**ლიონი,** მაისის 30. (ამერიკული რადიო). საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწენი ამტიცებენ, რომ გერმანიის მთავრობა შეწუხებულია გერმანიაში ზავის სასარგებლოთ მომხდარ მანიფესტაციების გამო. საფრანგეთის წყაროები აღნიშნავენ, რომ გერმანიის დამოუკიდებელი სოციალისტები ახლად შემდგარ მთავრობაში, რომელიც განთავისუფლებული იქნება შეიდემანისა და ერცბერგისაგან, სიამოვნებით დაიჭერენ ადგილებს საზავო ხელშეკრულებაზე, თუ მოკავშირეები რამოდენიმეთ შეუმსუბუქებდენ პირობებს, ხელს მოაწერდენ.

**ოდესა.** მაისის 25. მეუმცირესე მემარცხენე ესერების ოდესის კომიტეტმა გლეხების მიმართ მოწოდება გამოუშვა. სადაც მოუწოდებენ, დაუზოგავათ იბრძოლონ მიწის და თავისუფლებისათვის და საბჭოთა მთავრობის მტრების და მოღალატე გრიგორიევის წინააღმდეგ.

## აზერბაიჯანი

**მდგომარეობა ბაქოში.**

აზერბაიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლის ცნობით მაისის 30-ს მდგომარეობა ბაქოში უცვლელი იყო.

**26 მაისი ბაქოში.**

მაისის 26-ს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, საქართველოს საელჩოზე ეროვნული დროშა ფრიალებდა. ელჩს მიულოცეს ბაქოში მყოფმა ყველა მინისტრებმა მალაჩიხანის მეთაურობით, სომხეთის ელჩმა ბეგზადიანმა, სომეხთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებმა ჰარონიანმა, ტერმიქაელიანმა და ჩუმარიანმა, „მუსავათის“ წარმომადგენლებმა რასულ-ზადემ, შაფი ბეი რუსტამბეგოვმა, ექ. რაფიევმა, უკრაინელთა, ებრაელთა და გერმანელთა ეროვნულ საბჭოების წარმომადგენლებმა, ქართველთა ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმმა, ბაქოს გუბერნატორმა და პოლიცმეისტერმა ომარ ფაიკ-ეფენდიმ და ბევრმა სხვამ. ელჩი სტუმრებს საუზმით უმასპინძლდებოდა. წარმოითქვა ბევრი საგულისხმიერო და წრფელი სიტყვა საქართველოს დამოუკიდებლობაზე.

მილოცვათა მიღება გრძელდება დღის 12 საათიდან საღამოს 7-მდე.

**ცხაკაიას გამოსვლა აზერბაიჯანის პარლამენტიდან**

ამას წინად ქართველ მოსახლეობის წარმომადგენელი ეროვნულ დემოკრატი მ. ცხაკაია აზერბეიჯანის პარლამენტიდან გამოვიდა. ამ ფაქტს ნათელს ჰფენს თვით ცხაკაიას განცხა-

**ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.**

**დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.**

დება, რომელიც მან შეიტანა ქართველთა საბჭოში.

„მივიღე ეს დიდი ადგილი ქართველთა ინტერესების აზერბაიჯანის პარლამენტში დამცველისა, მხოლოდ მის შემდეგ რაკი საბჭომ მე ერთხმად (ერთის თავ-შეკავებით) ამირჩია.

დღეს ჩემთვის ცხადია რომ ეროვნულ საბჭოს სოციალისტური ნაწილი, ჰფიქრობს, რომ პოლიტიკური მდგომარეობა მათ სასარგებლოდ შეიცვალა, სურს რომ მათ წარმომადგენლად იყოს მათი თანამოაზრე.

ვსთვლი რა ასეთს მდგომარეობას ჩემთვის უხედხულად ვსტოვებ ჩემს თანამდებობას“.

მაისის 25 ეროვნულმა საბჭომ მოახდინა ახალი არჩევნები და აირჩია სოც.-დემოკრ. ბაქრაძე, ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ არჩევნებში თავი შეიკავა.

## ქართველ მსახიობთა ყრილობა

პარასკევს, მაისის 30-ს, მოხდა გაგრძელება ქართველ მსახიობთა ყრილობისა. კავშირის საბჭოს თავმჯდომარე შ. დადიანი აცნობებს კრებას, რომ ნ. ჩხეიძის იუბილეზე დელეგატად გაიგზავნებიან: ეფ. მესხი და ვ. გუნია. ამ გადაწყვეტილებას კრება ტაშით ეგებება. შემდეგ ამიაა მორიგ საკითხად ისმის წესდების გადასინჯვა, მაგრამ რაკი წესდების შესაცვლელად საჭირო რიცხვი არ არის, კრება ადგენს—გამოვიტანოთ დადგენილებანი წესდების შესაცვლელ მუხლების შესახებ და ეს შესწორებანი გაიგზავნოს ქუთაისში სხვა წევრთა აზრის გასაგებად. წესდებაში შეტანილ იქმნა შემდეგი შესწორებანი: 1) კავშირს უნდა მიეცეს უფრო პროფესიული ხასიათი; 2) საბჭომ უნდა აწარმოოს სეზონი იმ შემთხვევაში თუ საზოგადო კრება ამას დაავალებს; 3) ყველა ნამდვილი წევრ-მსახიობს არა აქვს უფლება წარმოდგენის გამართვისა; და ასეთს გამართავს მაშინ, როდესაც კავშირის საბჭო ამის ნებას დართავს; 4) კავშირის ნამდვილ წევრებად მიიღებიან ისინი, ვისაც 5 წლის პროფესიონალობის სტაჟი აქვს და რომელსაც კავშირის ყრილობა აირჩევს,—ხოლო თუ სამი წლის განმავლობაში სცენასთან კავშირი აღარ ექნება, კავშირის ნამდვილ წევრობიდან გამოირიცხება. 5) მუდმივი და თანამგრძნობი წევრის გარდა, ყველას შეაქვს კავშირში ერთდროული გადასახადი 25 მან., ნამდვილი წევრი ყოველ წლიურად იხდის 25 მან., თანამგრძნობი—50 მან., თანამშრომელი 10 მან., მუდმივი წევრი ერთდროულად—250 მან., საპატიო წევრი კი ერთდროულად 3,000 მან.

ამით დასრულდა პარასკევის სხდომა. შაბათს კვლავ გაგრძელებულ იქმნა წესდების დანარჩენ მუხლთა განხილვა. მიღებულ იქმნა შემდეგი შესწორებანი: 1) საანგარიშო წლის ბოლოდ ჩაითვალოს აპრილის 1-ლი, 2) წესდების შესაცვლელად, კავშირის სალიკვიდაციოდ და სხვა საჭიროა წევრთა ნახევრის დასწრება, 3) თავმჯდომარე, და სხვა კომისიები საბჭო უნდა ირჩეოდეს ერთი წლის ვადით; ჯამაგირი კი მხოლოდ თავმჯდომარეს უნდა ეძლეოდეს, 4) წევრ-მსახიობთ ჯამაგირიდან უნდა გამოერიცხოს 2 პროცენტი, ბენეფისისა და იუბილესაგან 5 პროცენტი, ისეთ სახალხო წარმოდგენებს, რომლის პირველი რიგის ფასი 3 მ. არ აღემატება, პროცენტი არ გადახდეს. 5) ბენეფისის გამართვის უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვისაც ამას საბჭო მიაკუთვნებს, თუნდაც მსახიობი დაწესებულ 10 წ. მეტს მოქმედებდეს.

კრების დასასრულს ერთხმად იქმნა მიღებული, რომ „ქართველ მსახიობის დღეთ“ ჩაითვალოს იანვრის ორი, და ამ დღეს ყველგან უნდა იმართებოდეს წარმოდგენა კავშირის სასარგებლოდ.

კრება კვირისათვის გადაიდო.

## მივხედოთ ძვირფას ნეშტებს

დიდი ილიას საფლავის ძეგლი განსაცდელშია. სინესტე დღითიდღე უჯდება და მალე სულაც დაინგრევა. ყოველ ნიაღვრის შემდეგ, რომელიც ყოველ წლივ გაზაფხულ-შემოდგომაზე რამდენჯერმე მოვარდება ხოლმე, აუარებელი ქვიშა ღორღით და ლოდებით აივსება ხოლმე ძეგლის მოედანი და უკანა კედელი. საშინელ სურათს წარმოადგენს ეხლაც სულმნათის საფლავი ამ კვირაში მოსული წვიმა ნიაღვრების შემდეგ.

ამისთანავე მდგომარეობაშია დიდებულ მგოსნის აკაკის საფლავიც. ლამის ნიაღვარმა და ქვიშა ღორღმა წალეკოს და წაიღოს ეს ძვირფასი საფლავი. თუ ჩვენებს არ ვერიდებით, უცხოელებისა მაინც უნდა შევცრცხვეს, რომლებიც ხშირად დაიარებიან ქალაქის მშვენიერ კუთხისკენ, მთაწმინდისკენ.

დაუყოვნებლივ საჭიროა ქვითკირის კედლები. თუმცა ეხლა ძვირად დაჯდება, მაგრამ მერე უფრო მეტი ხარჯი დასჭირდება, როცა სულ მთლად გაფუჭდება ილიას ძეგლი და სხვა ძვირფასი საფლავები.

ვითარცა საეროოდ ეს საქმე ყველამ. მთაწმინდა და მამა-დავითის ეკლესია ძვირფასია ყოველ ქართველისათვის, ნამეტნავად ვისაც ძვირფასი და საყვარელი ვინმე უსაფლავია ეკლესიაში თუ მის გალავანში.

თუ ერთბაშად არა, ნაწილ-ნაწილად მაინც გავაკეთოთ. ჯერ ჯერობით უნდა გამაგრდეს ილია ჭავჭავაძის საფლავის მხრივ ხევი. უნდა გაუკეთდეს ზევით კედელი და გაიჭრას არხი, რომ ნიაღვრის წყალს მიეცეს მიმართულება ხევისკენ. ამისთვის დაახლოვებით სამყოფია ხუთას-ექვსასი თუმანი.

შემდეგ უნდა დროით გაკეთდეს აგრეთვე კედელი აკაკის საფლავის მხარეს. იქ უფრო მეტი დაჯდება.

იმედია ამ საჭირო და საყურადღებო დაუხანებელ საქმეს ქართველი საზოგადოება და თვით ჩვენი მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და დაუყოვნებლივ გამოიღებს თავის წვლილს, რომ სამუდამოდ გაკეთდეს ეს აუცილებლად გასაკეთებელი საქმე მამა-დავითის ეკლესიაც თავის სამრევლო საბჭოს თაოსნობით შეძლებისდა კვალად მზათ არის ნივთიერად დაეხმაროს, რომ იგიც განთავისუფლდეს მუდმივი ხარჯისაგან და წვალებისაგან.

მთაწმინდის მამა-დავითის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი

**ნესტორ მაჭარაშვილი.**

## კორესპონდენცია

### სოფელი მორძგვეთი.

სოფ. მორძგვეთი იმყოფება ზემო იმერეთში სადგურ სალეთზე ერთი ვერსის მანძილით დაშორებით, მცხოვრებთა რიცხვი ას კომლამდე ითვლება. სოფელი მთა გორიანია და პირველ დანახვაზე საუცხოვო სურათს წარმოადგენს მნახველთათვის ოთხივე კუთხით შემოზღუდული, ალაგ-ალაგ ტყით დაფარული თვალ უწვდენელი მაღლობები ამაყად და მედიდურად გადმოს ცქერიან ძირს, მდებარე სოფლის ვაკე მიდამოებს, რომელზედაც არიან გაშენებული მცხოვრებთა უმეტესობა. ვინაიდგან მიწა მწირი და მეტ ნაწილად ისიც ფერდობებია, ამისთვის ხალხი სიმინდის და პურის თესვაზე მეტად მევენახობას მისდევს, რადგან ნიადაგიცა და ადგილ მდებარეობაც ამას ხელს უწყობს ასე რომ მთელი ვაკე ადგილები და რამოდენიმე ფერდობებიც კი მთლად ვენახებითაა საუცხოვოთ გაშენებული; ბლომადაა გაშენებული, როგორც ძველი, ისე ამერიკული ჯიშის ვაზები.

მებაღეობა მებოსტნეობასაც, უნდა ითქვას, აქ თვალსაჩინო ადგილი უკავია. ყოველგვარ ბოსტნეულ-ხეხილისათვის ნიადაგი საუკეთესოა და ამისათვისაცაა რომ ეს სოფელი მებაღეობა-მებოსტნეობით ძველიდანვე ყოფილა განთქმული; იშვიათია აქ ისეთი გლეხი, რომელსაც ზამთარზე მეტი არ მოსდიოდეს ხილი და არ გაჰქონდეს იგი ქუთაისის ბაზარზე გასასყიდლად.

სწავლა-განათლებაზედაც ეს სოფელი, სხვა მახლობელ სოფლებთან შედარებით, უფრო დაინტერესებული არიან. მიუხედავად იმისა, რომ სოფელი მცირე რიცხოვანია ინტელიგენტური ძალები საკმაოდ მოიპოვებიან და ყოველგვარ კეთილ საქმეს სათანადოდ ხელს უწყობენ.

მიმდინარე წლის იანვრის 26 ადგილობრივ კომისიის და ოცისთავების თანდასწრებით და მასწავლებელ პ. ღვალაძის მეთაურობით პირველ დაწყებით სასწავლებლის დასაარსებლად მოხდა ყრილობა. მასწავლებელ ღვალაძემ კრებას გააცნო მოკლედ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-განათლებას, საზოგადოთ, ხალხისათვის და რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს პირველ დაწყებით სასწავლებელს, კერძოდ, მორძგვეთს. ხალხი, დიდის აღტაცებით მიეგება პ. ღვალაძის სიტყვას და ერთხმად გამოიტანეს დასკვნა, მორძგვეთში აუცილებლად დაარსდეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რის თაობაზედაც იქვე არჩეულ იქმნა სასკოლო კომისია, შემდგარი სამი კაცისაგან სახელდობრ; მასწავლებელ ღვალაძის, პ. ღვალაძის და გრიგოლ დავითის ძე კაპანაძისგან, რომლებსაც კრებამ დაავალა, რათა მიიღონ ყოველგვარი ზრუნვა ხსენებულ სკოლის დასაარსებლად და იშუამდგომლონ ერობისა და მთავრობის წინაშე. იქვე დადგენილ იქმნა ოქმი, რომელსაც ხალხმა მოაწერა ხელი და გადასცა მასწავლებელ პ. ღვალაძეს სისრულეში მოსაყვანად. ბ. ღვალაძემ, დაუყოვნებლივ, გადაგზავნა ოქმი ქუთაისის გუბ. 2-რე რაიონის სახალხო სკოლის ინსპექტორ გავაშელის სახელზე და თვითონაც რამოდენიმე ჯერ ინახულა პირადათ და დიდი ცდისა და შრომის შემდეგ აიღო მთავრობისაგან ნებართვა სკოლის გახსნისა. ეცნობა ყოველივე ეს ხალხს თუ არა, მაშინათვე შენობა დაიქირავეს, პარტები და სხვა სასკოლო ავეჯეულობა შეიძინეს, მოიწვიეს მასწავლებელი, რომელიც მთავრობამ დაუყოვნებლივ დაამტკიცა და ასე ამნაირად მოკლე ხანში გაიჩარხა საქმე ჩაეყარა საფუძველი ასეთ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებას, როგორიცაა სკოლა საზოგადოებისთვის...

**გინმე მორძგველი.**

## ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

44

საბედისწერო წუთის შემდეგ თებრონიას გული უსასო იქმნა ქვეყნიურის ცხოვრებისათვის. მიჰხვდა, სამუდამოდ უნდა დაეტოვებინა ბუნებრივი გზა სრულის ცხოვრებისა: რჩეულ მის ვაჟკაცს უარეყო ყოფნა მზეჭაბუკური; ქალს კი აღარ შეეძლო დაეთმოს ის, დაევიწყებინა, სხვაზედ გადაეტანა თვისი სურვილი. მისთვის აღარ არსებობ და სხვა ვაჟკაცი, ვერც იარსებებდა ვერასოდეს. ქალწულის ძლიერი ბუნება პირისპირ შეჰხვდა ჭეშმარიტებას:

სიყვარული მხოლოდ ერთია, განუყოფელი, ვით ღმერთი, რომელი არ ის თვით სიყვარული. იგი უსწორო სიყვარული მოევლინა მხოლოდ რჩეულს, ზეამაღლებულს. სხვათათვის არსებობს ერთობა, მხოლოდ ნივთიერი, ცვალებადი, მიმომავალი, დაუდგრომელი და მრავალ-სახე.

ძვირად დაუჯდა სისხლ-ხორცით სავსე ქალწულს გაუზიარებელი მიჯნურობა: მოჰკლა მან ქალი სოფლისა და მის სიამეთათვის, ჩააგდო უხსნელ წამებაში; უსასოქმნილი მაინც უწყვეტ ჯინჯილით იყო მიჯაჭვილი გრიგოლის არსებობაზედ. ერთი-ღა დარჩენოდა: მარად ცრემლით დაელტო ფერხნი უგულოსნი და წარეხოცნა ცრემლი იგი შოლტებივით გადაყრილ თვის ნაწნავებით ესე ბოლომდის, ღრმა სიბერემდინ! ბოროტად მღიმარე ბედმა მაინც არგუნა მას მცხოვანობამდის თანაჰხლებოდა თვის გულის რჩეულს, უდრეკ რამ მებრძოლს, ზეკაცური ძალით შემოსილს.

45.

არ შეიცვალა ქალ-ვაჟთა ურთიერთობის სახე გარეგანი: თებრონია ისევ მშრომელ მოწაფედ დარჩა გულმოდგინე მასწავლებლისა. კიდეც უმატა თვის დვაწლს კურთხეულს. სხვა ღონე არა ჰქონდა! რამდენჯერ განიზრახა დაჰხსნოდა ამ ტკბილ-მწარე მონობას, ახალი გეზი აეღო სიცოცხლის ზღვაზე, ახალი კატარღა ცხოვრების ტალღებზედ მატარებელი. ვერ მოახერხა! უძლეველი აღმოჩნდა ის ძალა, რომელს მიექცია ქალი ვაჟკაცისაკენ, უწყვეტი გამოდგა სიყვარულის სიმი, რომლით შეკრულიყო ქალის გული ვაჟკაცის არსებასთან დაენანა თავი, შეებრალა თავისი ნორჩი ქალობა უშურაზო. რაღას იზამდა?! ძალა არ შესწევდა თვალი მოეწყვიტა ცვალად მანათობელ თვის ვარსკვლავისათვის: ჩამსხვრეული ნებიყოფა არ აძლევდა შეძლებას სხვა ღმერთი აერჩია სათაყვანებელი. გონება უკარნახებდა, დაახსნოდა თვის უიმედო მისწრაფებას. უხმო იყო მისი ძახილი! მისი გული ყრუ იყო გონების ხმის სასმენელად, მისი ნებისყოფა დავრდომილ იყო ჰაზრთაგან ნაჩვენებ გზაზედ სავალად. და შეჰყურებდა ქალი თვის მტარვალს, თვისი სიცოცხლის გამაცუდებელს, თვის ბედისმწერელს ავს, მაინც სანატრელსა და საოცნებოს. იყო წამები, როცა ულონო მტრობით განიმსჭვალებოდა ქალი ჭაბუკისადმი, სიკვდილსაც მოინატრებდა თვის სიცოცხლისთვის...

— ეგებ მაშინ დაივიწყოს ამ გულმა კრულმა ის გულქვავი, არა ხორცთა და სისხლთაგან თხზილი, ლითონისაგან ჩამოსხმული კერპი სათაყვანო. ახ, არ უსხენ თვალნი ხედვად მშვენებისა, არ ჰქონან ყურნი სმენად ალერსისა, დახშული აქვს ყნოსვა გრძნობად სურნელებისა, რომელს ჰფუშვის სიყვარული უბიწო...

— არა! ღმერთმა დაიფაროს სიკვდილისაგან და ყოვლისაგან განსაცდელისა. მოისპოს იგი, მომესპოს მეც მზე და გამიცუდდეს სიცოცხლის ჰაზრი. ნუ იყოფიან ესე, სახეირო, ნუ იყოფიან!

ქალი რომ ვერ უსურვებდა რაიმე ბოროტს ვაჟკაცს, მისთვის აც ეტლად ქცეულს, აქ კიდევ წილი ედვა მის უიმედო იმედს. სამარემდინ იმედითა სცხოვრობს ადამიანი. თანაც მიაქვს იმ ქვეყნად იგი იმედი: ჰგონია, იქ კვლავ გაალიმებს მას ამ სოფლად ჩამქრალი ცნობიერება, გაუნათდება თვის პიროვნობა სიყვარული, თუნდ ჯოჯოხეთის ტანჯვათა შორის კვლავ იწვევა თვითცნობიერება ფასდაუდები, შეჰქმნის მას პიროვნობად, განცალკევებულ ძვირფას არსებად. არა სტოვებდა ტანჯულს იმედი; ეგონა, გაქვავებული გული ჭაბუკისა რაიმე სასწაულით აძგერდებოდა მისთვის, კარს გაუღებდა სიყვარულს ნ კუთხს, დაამკვიდრებდა მას ედემში უჩრდილო მიჯნურობისა, თვითაც დამკვიდრდებოდა მუნ. არ იცოდა ბედშავმა, რომ მის სათაყვანებელ ჭაბუკის გულში ფრთები გაეშალნა სულ სხვა მიზანს წინაგანზრახულს, სხვა ჰაზრი დაუფლებოდა მას და მიაქანებდა მის ძლიერ პიროვნობას იმ სიმაღლისაკენ, სად ვეღარ სწვდება ვერც თუ სიკვდილი ან განქარვება გრიგოლს ჰაზრად ჩაუდვა მიწევნილიყო მწვერვალამდის, რომელი სწვდება მეტქი სამშობლოს ცის კამარას, გადაფრენილიყო ვარსკვლავთა სამფლობელოში, მთიებთა არეში, საიდან მნათობნი სურვილით დაჰბერიან სამშობლო მხარეს, გაანათებენც ძვირფას ქვეყანას ალსასრულამდე წუთის სოფლისა.

არც თუ მთლად ფუჭი იყო ტანჯულის სასოება: გაკაჟებულიყო ჭაბუკის გული, მაინც შერჩენოდა მცირე რამ კუთხე, სადაც დიოდა სისხლი მჩქეფარე; მისი სული დაეპყრო ჰაზრს, რომელი დაესახა მას თვის ცხოვრების ერთადერთ მისწრაფებად, მაინც იყო იქ ვანი რამ მცირე, ამ ჰაზრის დამონებულ ძალისაგან თავისუფალი, სად ციაგობდა ქვეყნიურ სიამეთა სურვილი, მცირე, თითქმის მიმქრალი. ეწეოდა საკვირველ ჭაბუკსაც წუთი სულმოკლეობა, როს შეჰბედავდა მას ეშვი მასრ-ჭვანგიანი და ჩასჩურჩულებდა:

— განდი ცხოვრებად, მოიმკე, ქვეყნიურო, სამკალი მსოფლიური! შენ წინა სდგას ხორცსხმული სიყვარული, შენკენ გამოუწვდია სურვილის მკლავი; ისწრაფე, მოისთვლო მტევანი შენთვის მომწიფებული! გაახარებს იგი შენს გულს, გაანეტარებს, შეგძენს ცნობას ნივთიერის ტკბობისას გკუფს შენ, თუნდ წამიერად, ვითარცა ერთს ღმერთთაგანს. ისწრაფე!

ამისთანა წუთებში გრიგოლის მკვეთრი თვალები ეზიარებოდნენ სილბოს სახიერებისას, მის მარად მტკიცედ დახშულ ბაგეს გახლეჩდა ნასახი სიამის ღიმილისა, მის განხმელ ხმაში ერეოდა ბგერა რამ ლბილი. ამისთანა წამები ასაზრდოებდნენ თებრონიას სასოებას, ასულდგმულებდნენ.

მაჟრამულ უკუაგდებდა უკმეხი ვაჟი საამო სისუსტეს ნებისყოფისას, უფრო მტკიცედ წაემართებოდა სამუდამოდ არჩეულ გზაზედ. მის თვალებში ისევ აღტყინდებოდა ცეცხლი შემწველი სიხარულისა, ბაგენი მკაცრის სიმტკიცით დაეხშობოდნენ ნაზ სიტყვებისთვის; ხმაში ქრებოდნენ ჩვილნი ჟღერანი, იტყოდა იგი, ვით რამ ლითონი მთლად უსულ-გულო მჭახედ მომთქმელი. და ჩაითხეოდა ქალწული უფსკრულში უიმედობისა. მაინც ვეღარა ჰშორდებოდა თავის მტარვალს სასურველს, თვის ბედისწერას ულმობელს. სადღა წავიდა, როცა ნებისყოფა მოტაცებული ჰქონდა ვაჟკაცისაგან, როცა მის ხელში უკვე შექმნილიყო მხევლად, უპიროვნო ნივთად სულდგმულად?!

— ღმერთო სახიერო, მიიღე ჩემგან სული ჩემი ტანჯული, დამხსენ წამების დაუსრულებელს! რა არს ჩემი სიცოცხლე? არც ცოცხლებში ვარ, აღარც თუ მკვდრებში. მომძაგდა კაცთა ნახვა, მახვილადა ჰხვდება საწყალს ჩემს გულს ხმა ტოლ-სწორთა სიხარულისა.

**გახილ ბარნოვი.**

(შემდეგი იქნება).


# ქართული კლუბი

ოთხშაბათს 4 თიბათვეს

კლუბის საზაფხულო სადგომში

გადასვლის გამო გაიმართება

## საზეიმო საღამო

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქართული დამსახურებულნი მსახიობნი და საოპერო დასის საუკეთესო ძალები. სიმებიანი ორკესტრი ლ. სტუპელის ლოტბარობით. (1—93—1)



## ახლად მოწყობილი სტამბა „ხელოვნება“

ველიამინოვის ქუჩა № 20.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ დაკლებულ ფასებში.

**საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს**

სტამბა „ხელოვნებას“ აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წვრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—19)


## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო სად. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ—ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დილის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები. ფოთიდან—თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ. ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბაქოდან**

მ. № 3 საფოსტო დილის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში. **თბილისსა და მცხეთას შუა** იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

**კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.**

საათები ნაჩვენებია თბილისის დროით.

**თბილისიდან-მელაანამდე.**

საგარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 საათზე და 50 წუთზე.

საგარაკო მატარ. № 15 მელაანში ეერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

**თბილისიდან-თელავამდე.**

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

**თელავიდან-თბილისამდე.**

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მელაანში უერთდება საგარაკო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში საღამოს 7 საათზე და 15 წუთზე.

**გურჯაანიდან-წნორის-წყლამდე.**

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

**წნორის-წყლიდან გურჯაანამდე.**

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)


ექიმი

**ა. მ. კაკაშვილი**

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებით ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათ. დ. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგისა და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა). (25—2324—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მუხრანბატონი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი. სადღენოიდი და სევალის ტ... კით ფილტვების, გულის და სხვა ორგანოების ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 1—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

**ალექსანდრე დავითის ძის კიკოლიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მონსე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირისა და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13 42.

50—2119—43